ხელშეკრულება №2-15
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 იანვარი 2013 წ.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ შპს "ჯორჯიან მიკროსისტემს" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის *არჩილ მაისურაძის* სახით და მეორეს მხრივ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ–გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი") მისი უფროსის *შალვა ჯაგახაძის* სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე,

1. ხელშეკრულების საგანი

დაფინანსების წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო **არასაბიუჯეტო სახსრები**

1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება: **საინფორმაციო სისტემები და სერვერები CPV კოდით 48800000**
„მიმწოდებელი" ვალდებულებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში „შემსყიდველს" გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურეობა: საძიებო კომპიუტერული სისტემის (კოდექსი) ჩატვირთვა **(CPV კოდით 48810000 საინფორმაციო სისტემები)**

1.2 შესყიდვა საშუალება : გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ობიექტის ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება

2.1 მონაცემთა ბაზის ინფორმაციული განახლების ყოველთვიური ანაზღაურება, 5 კომპიუტერზე თვეში შეადგენს 80.00 (ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 880.00 (რვაასოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მომსახურების გაწევა დაიწყება **2013 წლის 01 თებერვლიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

3.2 „შემსყიდველი" იძენს, ხოლო „მიმწოდებელი" გადასცემს საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერულ სისტემას „კოდექსი" (ინდივიდუალური ვერსია) მონაცემთა ბაზით. „კოდექსი" რეალიზებულია ოპერაციულ სისტემა **WINDOWS XP (SP-S)/VISTA/7- ში.**

3.3 კოდექსი მოიცავს 2013 წლის მიმდინარე თარიღისთვის მიღებულ და მოქმედ:

- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულების ნორმატიულ აქტებს (კანონები, დადგენილებები,ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, ფოსტოგრამები და ა.შ.)
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრთ საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს:
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებს და გადაწყვეტილებებს:
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიეტ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს:

3.4 ინფორმაციული ბაზის მოცულობა შეადგენს3 6 674.5 მეგაბაიტს.

3.5 დამკვეთის ახალ კომპიუტერზე, სისტემა „კოდექსი"-ს ინსტალირების შემთხვევაში, ინფორმაციული განახლების ანაზღაურება გაიზრდება თვეში10 (ათი) ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

4.1.1 მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები დამკვეთს INTERNET-ის საშუალებით, დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ელ. ფოსტის მისამართზე.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

4.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში

4.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების მიერ მომსახურების გაწევისას ნაკლი ან/და დეფექტის გამოვლენიდან 5 დღეში წერილობით აცნობოს შემსრულებელს

4.2.3 დაიცვას საინფორმაციო-საძიებო სისტემა „კოდექსი„ არასანქციირებული გამრავლებისაგან

5. ანგარიშსწორების წესი და პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

5.2ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველი თვის ბოლოს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენა.

6. საქონლის მიწოდების მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სააგენტოს იურისტი შორენა იოსებიძე.

6.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმება ხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე, წინამდებარე ხელშეკრულების ორივე მხარის წარმომადგენლების მონაწილეობით.
6.4. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები წუნდების მიზეზის მითითებით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, ომები ან საომარი მდგომარეობები, აგრეთვე სხვა გადაულახავი გარემოებები, თუ ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ან მისი შესრულების ვადა გადაიწევს შეასაბამისი დროით.
7.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდება ფორს–მაჟორულ სიტუაციაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხა გადააჭარბებს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 1 და 3. მუხლებში მოთხოვნებს, „მიმწოდებელი" ვალდებულია 2 დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლის და/ან დეფექტის აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.4. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" განაცხადებს არამოტივირებულ უარს შესყიდვის ობიექტის შესყიდვაზე, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
9.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
9.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 მუხლში აღნიშნული პირი.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
11.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 ეგზემპლარი შემსყიდველს.
11.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები

" შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო"	შპს "ჯორჯიან მიკროსისტემს"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	საიდენტიფიკაციო კოდი: 202268517
მისამართი: ქ. თბილისი	მისამართი: ქ. თბილისი დ. უზნაძის №4
დ. აღმაშენებელის გამზ. №150	ბანკო რეკვიზიტები: ს.ს "პროკრედიტ ბანკი"
რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"	ბანკის კოდი: MIBGGE22
კოდი: MIBGGE22	ანგარიშის № GE40PC0293600100008969
ა/ა №GE11PC0133600100049792	ტელ: 832 2 14 62 54
ტელ: 439 555	
ბალეა ჯაფარიძე	არჩილ მაისურაძე
საგენტოს უფროსი	დირექტორი